

შპს „ოქროს სავაჭრო ცენტრი მაგი“ ჯგუფის

2024 წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


შინაარსი

2024 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა	5
4. შემოსავალი	6
5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	6
6. ძირითადი საშუალებები	7
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8
9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	8
10. გადასახადები	8
11. დაკავშირებული მხარეები	8
12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები	9
(ა) შემოსავალი	9
(ბ) სხვა ხარჯები	9
(გ) ძირითადი საშუალებები	9
(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	10


2024 და 2023 წლის მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
კონსოლიდირებული საქმიანობის შედეგები

ლარი	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი		4258086	4532685
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(209797)	(290513)
საერთო მოგება		4048289	4242172
სხვა შემოსავალი		308876	86206
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი		(1923233)	(2082053)
არასაოპერაციო ხარჯი		(15212)	(98565)
სხვა შემოსულობები		0	0
სხვა ხარჯი		0	0
საოპერაციო მოგება		2418720	2147760
ფინანსური შემოსავალი		267555	195099
მიმდინარე პერიოდის შემოსავალი		2686275	2342859
მოგების გადასახადი		0	0
წმინდა მოგება		2686275	2342859

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 18 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:


დირექტორი
გენერალ-მენეჯერი





მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

მოგება ან ზარალისა და სხვა შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და წარმოდგენილია ფინანსური

ანგარიშგების გვერდებზე 8-10.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით

ლარი	31.12.24	31.12.23	31.12.22
აქტივები			
მიწა	299915	299915	299915
ძირითადი საშუალებები	7573149	6517199	4081148
არამატერიალური აქტივები	418	418	418
გუდვილი	842355	982747	1123139
სულ გრძელვადიანი აქტივები	8715837	7800279	5504620
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	999407	791426	310565
ფული და ფულის ეკვივალენტები	1590972	98764	357826
მარაგები			
სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3911093	2671744	2878806
სხვა მოკლევადიანი აქტივები (საგადასახადო ზედმეტობა)	0	0	0
სულ მიმდინარე აქტივები	6501472	3561934	3547197
სულ აქტივები	15217309	11362213	9051817
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საწესდებო კაპიტალი		0	0
ძირ. საშუალების გადაფასების რეზერვები	1411333	1411333	1411333
გაუნაწილებელი მოგება	12529397	9843122	7500263
სულ საკუთარი კაპიტალი	13940730	11254455	8911596
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	1238758	68282	55088
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	0	0	34816
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	37821	39476	50317
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1276579	107758	140221
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	15217309	11362213	9051817

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 18 სექტემბერს და მისი სახელით ხელი მოაწერეს:

დირექტორი
ჯემალ გიგუაშვილი



6. შეყუპაძე

მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და წარმოდგენილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გვერდებზე 8-10.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოქროს სავაჭრო ცენტრი მაგი“ ჯგუფი რეგისტრირებული არის “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2003 წლის 6 ოქტომბერს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი ვაგზლის მოედანი #2. კომპანიის რეგისტრაციის ნომერია: 202210320; მისი შეიღობილი კომპანიაა შპს „ძველი ბორჯომი“, სადაც ის ფლობს 100% წილს. კონსოლიდაციის თარიღია 2021 წლის 01 სექტემბერი.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. მისი შეიღობილი კომპანიის საქმიანობაა ასევე საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „ოქროს სავაჭრო ცენტრი - მაგი“ ჯგუფის 100% წილის მფლობელია ჯემალ გიგუაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამავდროულად გაკეთებულია ისეთი შეფასებები და დაშვებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. შეფასებები და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილების აღიარება ხდება შეფასების პერიოდში და ნებისმიერ მომავალ პერიოდში, რომელზედაც მოქმედებს ამგვარი ცვლილება.

3. სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის წარსადგენი ვალუტა არის ქართული ლარი.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

4. შემოსავალი

კონსოლიდაცია

ლარი	2024 წ.	2023 წ.
იჯარის შემოსავალი	4044979	3974901
წყლის შემოსავალი	11210	8915
ელექტრო ენერგიის შემოსავალი	30107	30621
შემოსავალი დასუფთავებიდან	17195	17550
სახანძრო ღებეჭქორების გადასახადი	102	102
ბინის ქირის შემოსავალი	132943	85428
შემოსავალი ღაცვის მომსახურებიდან	12202	12202
შემოსავალი ტრანსპორტის გაქირავებიდან	0	97034
შემოსავალი სხვა ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	0	255932
შემოსავალი ავტომანქანის რეალიზაციიდან	0	50000
შემოსავალი ბუნებრივი აირის მოხმარებიდან	1153	
სხვა	8195	0
არასაოპერაციო შემოსავალი	308876	86206
საპროცენტო შემოსავალი	267555	195099
სულ შემოსავალი	4834517	4813990

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

კონსოლიდაცია

ლარი	2024 წ.	2023 წ.
გაყიდვების თვითღირებულება	209797	290513
შრომის ანაზღაურება	72378	90031
ბანკის %	411	355
დაცვა	49872	49872
საიჯარო ქირა	1389558	1405476
დაზღვევა	7786	7546

საპენსიო ფონდი	503	174
კომუნალური გადასახადები	98968	103333
საკანცელარიო საქონელი	354	214
ავტომანქანის რემონტის ხარჯი	4247	2611
ცვეთა და ამორტიზაცია	216751	357270
სხვა	82405	65171
არასაოპერაციო ხარჯი	15212	98565
სულ	2148242	2471131

შენიშვნა: 2024 წლის მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამოღებულია: 1) შემოსავლებიდან - მშობელი ორგანიზაციის მიერ შვილობილი საწარმოდან მიღებული დივიდენდები და ასევე გასავლიდან - მოგების განაწილება მშობელ საწარმოზე 57750 ლარის ოდენობით.

6. ძირითადი საშუალებები

კონსოლიდაცია

ლარი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2024 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების გასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა ღირ. 2024 წლის 31 დეკემბერს
შენობა ნაგებობა	5741822	1272244	0	0	7014066
მიწა	299915	0	0	0	299915
სატრანსპორტო საშუალებები	182086	52168	7659	43327	183268
ინვენტარი	175262	9022	57	33032	151195
არამატერიალური აქტივი	418	0		0	418
იჯარით აღებული ქონების	418029	8672	202081	0	224620
კეთილმოწყობა					
სულ ძირითადი საშუალებები	6817532	1342106	209797	76359	7873482

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

კონსოლიდაცია

ლარი	2024წ.
სავაჭრო მოთხოვნები	999407

სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3911093
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4910500

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კონსოლიდაცია

ლარი	2024წ
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	1238758
მიღებული ავანსები	0
საგადასახადო ვალდებულებები	37821
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები	0
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1276579

9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

კონსოლიდაცია

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში და ფულს საბანკო ანგარიშებზე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე ირიცხებოდა 1579548 ლარი, ხოლო სალაროში 11424 ლარი, სულ 1590972 ლარი.

10. გადასახადები

კონსოლიდაცია

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს.

2016 წლის 1 იანვრიდან ყველა გადასახადის ანგარიშსწორება ხდება ერთიან სახელმწიფო სახაზინო ანგარიშზე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კონსოლიდირებული საგადასახადო ვალდებულება შეადგენდა 37821 ლარს.

11. დაკავშირებული მხარეები

კონსოლიდაცია

(ა) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

(ი) წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება:

ლარი	2024 წელი
-------------	------------------

12. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა და შეფასებები

(ა) შემოსავალი

ოქროს სავაჭრო ცენტრი-მაგი ჯგუფის ძირითადი საქმიანობა არის საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა.

ამონაგების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდის მიხედვით,

(ბ) სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

(გ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით, თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებასა, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

(დ) სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

(ე) სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.



დირექტორი
ჯემალ გიგუაშვილი

ნ. შაყლაშვილი

მთავარი ბუღალტერი
ნინო შალუტაშვილი